

## სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

წინამდებარე წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მიღებული განათლების აღიარების წესს, არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა მოხილვას, ადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას, კოლეჯის მიერ მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამ(ებ)ს/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამ(ებ)ს და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესსა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

### მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **კოლეჯი** - სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“;

ბ) **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა** - (შემდგომი მოდულური პროგრამა) სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა;

გ) **პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი (ჩარჩო დოკუმენტი)** - დოკუმენტი, რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/ კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში). ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა;

დ) **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (დუალური მიდგომით)** - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტის) საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში;

ე) **მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა** - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და რომელიც უკავშირდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამის იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც აგრეთვე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე;

ვ) **საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები** - ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მოთხოვნების ასახვა პროგრამის იმ კომპონენტებში, რომლებიც ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციების ან/და ტრანსფერული უნარების გამოუმუშავებასა და განვითარებაზე.

ზ) **ინსტრუქტორი** - საწარმოს/კომპანიის მიერ პროფესიული სტუდენტ(ებ)ის სწავლებისა და შეფასებისათვის გამოყოფილი შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირი;

თ) **ჩანაწერების ყურნალი** - დაწესებულების მიერ, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, პროფესიულ სტუდენტთა სარგებლობისათვის შემუშავებული ჩანაწერების ერთობლიობა, რომელსაც აწარმოებს პროფესიული სტუდენტი ყოველკვირეული კალენდარული გეგმის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოებული ყურნალის ჩანაწერებს ხელმოწერით ადასტურებს ინსტრუქტორი, რომელიც ზედამხედველობას უწევს მუშაობის პროცესში სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს;

ი) **პროფესიული სტუდენტი** - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ან იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით;

კ) **მსმენელი** - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე;

ლ) **მოდული** - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;

მ) **კომპეტენცია** - სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში,პროფესიული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების შესაძლებლობა;

ნ) **კრედიტი** - ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას,რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად;

ო) **კვალიფიკაცია** - უფლებამოსილი დაწესებულების/დაწესებულებების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით - დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით;

პ) **დიპლომი** - უფლებამოსილი დაწესებულების მიერ მიანიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ჟ) **სერტიფიკატი** - კოლეჯის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის, აგრეთვე ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევას;

რ) **დიპლომის დანართი/სერტიფიკატის დანართი** - დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან/სერტიფიკატთან ერთად გაცემს საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად;

ს) **ფორმალური განათლება** - მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შექმნას და აღნიშნულის სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით - დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებას;

ტ) **არაფორმალური განათლება** - მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი;

უ) **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა** - შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;

ფ) **ინკლუზიური პროფესიული განათლება** - თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება;

- ქ) პროფესიული განათლების მასწავლებელი - პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში;
- ღ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება - პროფესიული სტუდენტის სტატუსის დროებით შეჩერება, რომელიც არ გულისხმობს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;
- ყ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და კოლეჯში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სიიდან მისი ამოცილება. დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე;
- შ) გარე მობილობა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებიდან (შემდგომში - დაწესებულება) სხვა დაწესებულებაში გადასვლა;
- ჩ) შიდა მობილობა - პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამიდან (შემდგომში - პროგრამა) სხვა პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა.
- ც) დისტანციური სწავლება - სწავლება ელექტრონული პლატფორმების ან/და ციფრული რესურსების გამოყენებით;
- ძ) ჰიბრიდული სწავლება - აუდიტორული (კონტაქტური) სწავლებისა და დისტანციური სწავლების კომბინაცია;
- წ) ელექტრონული სასწავლო პლატფორმა - ელექტრონული/ციფრული სივრცე, სადაც ხელმისაწვდომია სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსი, სასწავლო-შემეცნებითი ხასიათის ელექტრონული წიგნები, სტატიები და დასაშვებია ფოტო-აუდიო და ვიდეო მასალების ატვირთვა. ასევე, მასზე გამოყოფილია სივრცე ბლოგისა და სხვადასხვა მიმართულების პროექტებისთვის.

## მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

(ამოღებულია - 08.07.2021, №76).

### მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
  - ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითებით);
  - ბ) სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება;
  - გ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, თუ გასული არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას პროფესიული სტუდენტი/პროფესიული სტუდენტის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მოთხოვნით წერილობით მიმართავს კოლეჯს და იგი უფლებამოსილია წარადგინოს შესაბამისი გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტი ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- 2.1. კოლეჯი უფლებამოსილია უცხოელი პროფესიული სტუდენტის მიერ ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევის პოლისის არფლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს შეუჩეროს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 წელს.
4. პროფესიულმა სტუდენტმა/პროფესიული სტუდენტის მშობელმა/კანონიერი წარმომადგენელმა, რომელსაც სურს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა, აღნიშნულის თაობაზე, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში წერილობით უნდა მიმართოს კოლეჯს ან მის უფლებამონაცვლეს.
5. კოლეჯის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე ან დაწესებულებამ დაკარგა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება და საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, პროფესიული სტუდენტი მიიჩნევა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად.
6. პროფესიული სტუდენტი, რომელსაც აღუდგება პროფესიული სტუდენტის სტატუსი უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ ეტაპიდან, რომელზეც შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
7. დუალური პროგრამის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შესაბამის პერიოდში სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა შეთანხმებული უნდა იყოს იმ პარტნიორ საწარმოსთან, რომელთანაც პროფესიულ სტუდენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება.
8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებასა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენასთან დაკავშირებით გამოიყენა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი და მონაცემები შეიტანება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
9. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის იმავე დაწესებულებაში, რომელშიც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, დაწესებულება აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ზ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.

### მუხლის 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
  - ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისთვის დადგენილი ვადის გასვლა (თუ არ განხორციელდა მისი, როგორც პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა);
  - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;
  - გ) პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება;
  - დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;
  - ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა ან/და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების (მათ შორის, დისტანციური ლექციის) 1/3-ის გაცდენა;
  - ვ) არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტის მიერ საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და პროგრამის შემავალი „ქართული ენა A2“ მოდულის, ხოლო საშუალო/უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და შემავალი „ქართული ენა A2/B1“ მოდულების ჯამური საკონტაქტო საათების (მათ შორის, დისტანციური ლექციის) 1/3-ის გაცდენა.
  - ზ) კოლეჯის შინაგანაწესის მოთხოვნათა უხეში დარღვევა;
  - თ) გარდაცვალება;
  - ი) დაწესებულებისათვის ყალბი დოკუმენტის, არასწორი ინფორმაციის წარდგენა, ან ისეთი დოკუმენტის, ინფორმაციის გონივრულ ვადაში წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;
  - კ) თვითდაფინანსების შემთხვევაში ფინანსური დავალიანება;
  - ლ) დუალური პროგრამის შემთხვევაში საწარმოს მიერ პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების შეწყვეტა პროფესიული სტუდენტის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევისა ან/და კოლეჯში/საწარმოში განსახორციელებელი სწავლის შედეგ(ებ)ის/კრიტერიუმ(ებ)ის შესაბამის პერიოდში მიუღწევლობის გამო.

- ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას კოლეჯის უფლებამოსილი თანამშრომლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.
- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

#### **მუხლი 5. შიდა და გარე მობილობა**

- გარე მობილობისა და შიდა მობილობის (შემდგომში – მობილობა) უფლება აქვს პირს, რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისთვის არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი.
- პროფესიულ სტუდენტთა მობილობის ადმინისტრირებას ახორციელებს კოლეჯის დირექტორი.
- გარე და შიდა მობილობის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს არაუგვიანეს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან 3 კვირის განმავლობაში. აღნიშნული წესიდან გამონაკლისის თაობაზე გადაწყვეტილებას შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით იღებს კოლეჯის დირექტორი.
- მობილობის უფლების მქონე პირი:
  - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი, რომლის ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
  - პირი, რომელსაც მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
- მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტი წერილობით მიმართავს კოლეჯს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც პირი ჩარიცხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში და პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები. კოლეჯის მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის სტუდენტის სტატუსის, სტატუსის შეჩერებისა და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ. განცხადების რეგისტრაციისას მობილობის მსურველს ეცნობება და განესაზღვრება ვადა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოსადგენად, დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა პირისათვის მობილობაზე უარის თქმის საფუძველია.
- მობილობის მსურველთა განცხადებების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება შესაბამისი კომისია, რომელიც განიხილავს მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას და შესაბამის რეკომენდაციას უწევს კოლეჯის დირექტორს პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ.
- პროფესიული სტუდენტის მობილობის გზით კოლეჯში ჩარიცხვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით.
- მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.
- მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
- დაწესებულება ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა დადგენილი წესის შესაბამისად.

#### **მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომლის საგაღებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, პირველად საფეხურზე ჩარიცხვის თავისებურებანი**

(ამოღებულია - 08.07.2021, №76).

#### **მუხლი 8. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ტესტირების ეტაპები**

(ამოღებულია - 08.07.2021, №76).

#### **მუხლი 9. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი**

- ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.
- ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:
  - საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;
  - მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.
- ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.
- ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს 1 თვეს განცხადების წარმოებაში მიღებიდან.
- ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
  - დაწესებულებისთვის განცხადების წარდგენა;
  - კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება;
  - კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;
  - კოლეჯის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.
- სწავლის შედეგების აღიარების მსურველი პირი ვალდებულია შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან 3 კვირის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
  - დაწესებულების დასახელებას;
  - განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;
  - განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;
  - განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;
  - განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათ შორის განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლს. თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილი წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტს, ფორმალური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელ სახელმწიფო დოკუმენტს – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მის ნოტარიულად დამოწმებულ ასლს, ან ცნობას, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, ცნობას საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, სილაბუსს და სხვა.) გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას შესაძლებელია ერთოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. თავსებადობის არარსებობა შესაძლებელია გახდეს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების აღიარებაზე უარის თქმის საფუძველი.
8. კოლეჯი არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა ამავე კოლეჯის მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.
9. კოლეჯი 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი კოლეჯს არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, კოლეჯი განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.
10. კოლეჯის მიერ ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.
11. თუ კოლეჯის მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს, კოლეჯი უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
12. განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.
13. კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისგან. კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია განსაზღვრული იყოს შესაბამისი პროგრამის/მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი დარგის/კომპეტენციის მქონე პირი. კოლეჯი უფლებამოსილია განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.
14. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
15. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტა კომისიის თავმჯდომარის ხმა.
16. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
17. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.
18. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში.
19. მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება, ან რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.
20. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აღიარების საფუძველები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.
21. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
  - ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;
  - ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
22. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.
23. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.
24. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
  - ა) დაწესებულების დასახელება;
  - ბ) განმცხადებლის ვინაობა;
  - გ) იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;
  - დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
  - ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
  - ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.
25. კოლეჯი ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.
26. დაუმჯებელია აღიარება შემდეგ შემთხვევებში:
  - ა) თუ პირს კოლეჯის მიერ ერთხელ ეთქვა უარი კონკრეტული სწავლის შედეგების აღიარებაზე, კონკრეტული პროგრამის მიზნებისათვის;
  - ბ) პირის მიერ არ არის წარმოდგენილი ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
  - გ) სხვა გარემოებების არსებობის შემთხვევაში.
27. კოლეჯი ვებგვერდის, ოფიციალური ფეისბუქ გვერდისა და ექსტრაკურსული აქტივობების მეშვეობით უზრუნველყოფს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობას.
28. ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

**მუხლი 10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი ახორციელებს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.
2. კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის გადაყვანას მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვის კოლეჯის სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
3. კოლეჯში მის მიერ ჩაბარებული პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის/საგანთა ჯგუფის შესატყვისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არარსებობის შემთხვევაში, კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით უზრუნველყოფს მის მობილობას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის საერთო პირობების შესახებ.

**მუხლი 10<sup>1</sup>. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება.**

მსმენელის/პროფესიული სტუდენტის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და სასწავლო პროცესის ორგანიზება**

1. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიყენება ბრძანება პროგრამებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (დატვირთვა) მოიცავს 8 საკონტაქტო საათს (აკადემიური საათი - 50 წუთი), რომელთა შორის შესვენება 10 წუთია.
5. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით.
6. იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომელშიც განსაზღვრულია 50% ან მეტი სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევა, კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობა არის პროფესიულ სტუდენტთა მიერ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება.
7. პროფესიულ სტუდენტთა ლექციაზე დასწრების ადრიცხვის მიზნით კოლეჯში იწარმოება ელექტრონული ჟურნალი, ხოლო დუალური პროგრამის შემთხვევაში, საწარმოში გამოცხადება დასტურდება პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალით.
8. სასწავლო კვირაში სწავლება მიმდინარეობს სალექციო განრიგის მიხედვით, რომელიც შედგენილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმების შესაბამისად.
9. სალექციო განრიგი მოიცავს შემდეგ მონაცემებს:
  - ა) მოდულის დასახელება;
  - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის განმახორციელებლის სახელი, გვარი;
  - გ) ლექციის დაწყებისა და დასრულების დრო.
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების დრო და არდადეგები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.
11. ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარალელურ ჯგუფებში პროფესიული სტუდენტების რაოდენობის მკვეთრი შემცირების შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტთა თანხმობის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება ჯგუფების გაერთიანების შესახებ.
12. კოლეჯი ვალდებულია სასწავლო პროცესში არ დაუშვას ის უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პროფესიული სტუდენტი, რომელიც არ ფლობს ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის სადაზღვევო პოლისს (გარდა დისტანციური სწავლებისა, თუ პროფესიული სტუდენტი არ იმყოფება საქართველოში).

**მუხლი 11<sup>1</sup>-სასწავლო პროცესის ორგანიზება სასწავლო პროცესის დისტანციურად/შერეული ფორმით განხორციელებისას.**

1. დისტანციური სწავლების პროცესი ხორციელდება სასწავლო განრიგით (ცხრილით) გათვალისწინებული დროის, ხანგრძლივობისა და კალენდარული გეგმის შესაბამისად. პროცესის ორგანიზებასა და მხარდაჭერას ახორციელებს კოლეჯის ადმინისტრაცია.
2. დისტანციური სწავლების შემთხვევაში ერთი სალექციო/შეფასების საათი მოიცავს 50 წუთს.
3. პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები დისტანციური სწავლების პროცესში ერთგვარად ელექტრონული სასწავლო პლატფორმის მეშვეობით, რომლითაც უზრუნველყოფილია სალექციო პროცესის ჩაწერა და შენახვა.
4. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ჩართოს დისტანციურ სწავლებაში მიწოდებული/გამოქვეყნებული სასწავლო განრიგის (ცხრილის) შესაბამისად ადეკვატური გარემოდან და ხელი შეუწყოს სალექციო პროცესის ნორმალურ ჩატარებას.
5. პროფესიული სტუდენტი ონლაინ სივრცეში შენოსვლით და ჩართულობით ადასტურებს სასწავლო პროცესზე დასწრებას/მონაწილეობას.
6. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის ან/და ადმინისტრაციული პერსონალის მოთხოვნის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ჩართოს ან/და გამორთოს ვიდეო და აუდიო რეჟიმი, გააზიაროს სამუშაო ეკრანი, ასევე ელექტრონულ პლატფორმაზე შემოსვლისას პროფესიული სტუდენტის იდენტიფიცირების მიზნით დაფიქსირდეს სახელითა და გვარით.
7. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია ჩართვის შერჩეულ სისტემაში დაფიქსირდეს კოლეჯის ელექტრონული ფოსტის გამოყენებით და არ დაუშვას ჩართვაში უცხო პირთა მონაწილეობა.
8. სსსმ პროფესიული სტუდენტების დისტანციურ ლექციებზე დასწრებას მონიტორინგს უწევს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. აღნიშნული მონიტორინგის ტექნიკურ შესაძლებლობას უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებელი შეხვედრის ბმულისა და შეხვედრაზე შესვლისთვის საჭირო მონაცემების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიწოდების გზით.
9. სსსმ პროფესიული სტუდენტის ასისტირებას დავალების შესრულების პროცესში (საჭიროების შემთხვევაში) ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი/შესაბამისი პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს პერსონალური კომპიუტერის სამუშაო მაგიდის გაზიარების უფუნქციის მქონე კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით (Team Viewer, Any Desk, ან სხვა).
10. სსსმ პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული დავალებების მონიტორინგს უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სსსმ პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის უკუკავშირზე დაყრდნობით. პროფესიული სტუდენტი/მოდულის განამხორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს შესრულებული დავალების

მიწოდებას/გაგზავნას სპეციალისტთან, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია აწარმოოს თითოეული პროფესიული სტუდენტის დავალებების პორტფოლიო.

11. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შერჩეულ ელექტრონულ პლატფორმაზე დარეგისტრირდეს, შექმნას საკუთარი ანგარიში და უზრუნველყოს ყველა პროფესიული სტუდენტისათვის დადგენილი სასწავლო განრიგის (ცხრილის) მიხედვით შესაბამისი ჩართვის/სასწავლო კვირის ლინკის მიწოდება.
12. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია დისტანციური ჩართვა განახორციელოს შესაბამისი (ადეკვატური) გარემოდან.
13. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია განახორციელოს საკონტაქტო/შეფასების საათების ჩატარების ვიდეო ჩანაწერი და მიაწოდოს სასწავლო პროცესის მენეჯერს/სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტს მოთხოვნიდან გონივრულ ვადებში შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვებისა და განკარგვის მიზნით.
14. პროფესიული მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგში ჩართულ პირებს დაკისრებული მოვალეობის შესრულებაში.
15. ყოველი ლექციის დაწყებისთანავე შეავსოს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ჟურნალი ელექტრონული ფორმით.
16. დროულად მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტებს შესასრულებელი დავალებების/აქტივობების ვადები და გასწორებული დავალებები/ნამუშევრები.
17. პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროფესიული სტუდენტი ვალდებულია არიან დაიცვან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი და კიბერუსაფრთხოების წესები. არ გააზიარონ ლექციის ვიდეოჩანაწერები, ბმულები, ID, პაროლები სოციალური მედიის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით.

### **მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის გაცდენების კოლეჯის მიერ საპატიოდ ჩათვლა**

1. პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის (1/3-ის გაცდენა) კონკრეტული პროფესიული სტუდენტის მიმართ გაუგრძელებლობისა და გაცდენების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე.
2. პროფესიულ სტუდენტს გაცდენა ჩაეთვლება საპატიოდ, თუ გაცდენის მიზეზს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის:
  - ა) საერთაშორისო სასპორტო, სახელოვნებო და სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა, მოკლევადიანი ვიზიტით გამგზავრება საზღვარგარეთ სასწავლო საგანმანათლებლო მიზნებისთვის (მაგ. მონაწილეობა ტრენინგებში, კონფერენციებში და ა.შ.), მაგრამ არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;
  - ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობა (შესაბამისი დოკუმენტის გაცემიდან 10 სამუშაო დღეში წარმოდგენის შემთხვევაში);
  - გ) ოჯახური პირობები (შესაბამისი დამადასტურებელი გარემოებისა და დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში).
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას პროფესიულმა სტუდენტმა/პროფესიული სტუდენტის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტი, ხოლო „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით პროფესიული სტუდენტის გაცდენების საპატიოდ ჩათვლის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება პროფესიული სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი მიმართვაში აღნიშნული გარემოებების შეფასების, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და კოლეჯის უფლებამოსილი თანამშრომლის შესაბამისი რეკომენდაციის გაცემის საფუძველზე.
4. პროფესიული სტუდენტის გაცდენების საპატიოდ ჩათვლის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.

### **მუხლი 13. კოლეჯის მიერ ტრენინგ-კურსების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელების წესი**

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N121/5 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯ „გოდანის“ პროფესიული მომზადების ცენტრის წესდების“ შესაბამისად კოლეჯი უფლებამოსილია განახორციელოს სხვადასხვა მოკლევადიანი ტრენინგ-კურსები, რომელსაც თან არ ახლავს კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა.
2. კოლეჯი აგრეთვე უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები, რომელთა დასრულების შემდეგ კოლეჯის მიერ გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი, რაც ადასტურებს პირის მიერ შესაბამისი პროფესიული მომზადების პროგრამის(ებ)ის, პროფესიული გადამზადების პროგრამის(ებ)ის ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის(ებ)ის დასრულების ფაქტს.
3. შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურების გაწევისა და მიღების შესახებ ხელშეკრულებები სხვადასხვა ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები/ტრენინგ-კურსის მსმენელებთან და განახორციელებლბთან ფორმდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. კოლეჯის მიერ სხვადასხვა ტრენინგ-კურსების/მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების პროგრამების, პროფესიული გადამზადების პროგრამების ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო და სხვა საკითხები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

### **მუხლი 14. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა**

1. კოლეჯი ავასებს პროფესიული სტუდენტის ცოდნასა და უნარებს. შეფასებისას ყურადღება ექცევა სტუდენტის აქტიურობას ლექციაზე, მის ჩართულობას სწავლების პროცესში და შემოქმედებითობას.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევის შეფასების წესი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესისა და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს ამ მოდულზე (რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ 1 (ერთი) მცდელობის მიუხედავად მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს ხელახლა.
31. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის/სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვს ამ მოდულის (რომელიც არის სხვა მოდულის წინაპირობა) სწავლის დასრულებიდან, მომდევნო მოდულის (მოდული, რომელიც არ იწყება წინაპირობიანი მოდულის დასრულებიდან 2 კვირაში) დაწყებამდე ნებისმიერ დროს განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი. აღნიშნულ პერიოდში პროფესიული სტუდენტის მიერ 1 (ერთი) მცდელობის მიუხედავად მოდულის/სწავლის შესაბამისი შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მან შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი უნდა გაიაროს ხელახლა.
4. თუ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა, აღნიშნული მოდულის/სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში,

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგი დაადასტუროს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე ერთჯერადად.

- პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია მოდულის დასრულებამდე, დაუდასტურებელი სწავლის შედეგის დადასტურების თარიღი ზეპირინტეგრირად შეათანხმოს პროფესიული განათლების მასწავლებელთან.
- დუალური პროგრამის შემთხვევაში, კოლეჯსა და საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი მუშაობს საწარმოში, აწარმოებს პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელიც წარმოადგენს სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებას საწარმოში.
- სრულფასოვნად შეესბუღილი ჩანაწერების ჟურნალი წარმოადგენს შუალედურ და საკვალიფიკაციო გამოცდებზე დამკვეთის წინაპირობას, რომლის მონიტორინგსაც ახორციელებს პროფესიული განათლების მასწავლებელი.
- დუალური პროგრამაში შემავალი იმ მოდულების/შედეგების/კრიტერიუმების შეფასებასა და ადმინისტრირებაზე, რომელიც განხორციელდება კოლეჯში, გავრცელდება წინამდებარე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- დუალურ პროგრამაზე შეფასება სავალდებულოა მოხდეს პროგრამის განხორციელების ეტაპზე მინიმუმ ერთი შუალედური გამოცდის საფუძველზე საბოლოო შეფასებამდე, რომლის მიზანია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება და ემსახურება სასწავლო პროცესის/სასწავლო გეგმის კორექტირებასა და გაუმჯობესებას.
- შუალედური გამოცდის შედეგები არ წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძველს და მოიცავს იმ ცოდნისა და უნარების შეფასებას, რომლებიც მიღწეულია შესაბამისი გამოცდის ჩატარებამდე.
- შუალედურ გამოცდაზე მონაწილეობა წარმოადგენს დასკვნით გამოცდაზე დამკვეთის წინაპირობას.
- შუალედურ გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა დამატებით შუალედურ გამოცდაზე გასვლის უფლება ერთჯერადად შესაბამისი განცხადებისა და გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 10 დღის ვადაში, ხოლო დამატებით შუალედურ გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
- შეფასება ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებლისა და საწარმოს ინსტრუქტორის მიერ, პროფესიული სტუდენტის ჩანაწერებისა და დაკვირვების ფურცლის (ჩეკლისტის)/წერიითი დავალების საფუძველზე, სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების შესაბამისობის შემოწმების მიზნით.
- საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება თეორიული და პრაქტიკული გამოცდის სახით.
- საგამოცდო თემატიკა არ უნდა ცილიდებოდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს და პროფესიულ სტუდენტს უნდა შეეძლოს სამუშაოს დაგეგმვა და მიცემული დავალების შესრულება, მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება.
- საკვალიფიკაციო გამოცდამდე პროფესიულ სტუდენტს ეცნობება 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე.
- დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ბოლო მოდულის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში ინიშნება საკვალიფიკაციო გამოცდა.
- საკვალიფიკაციო გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ეძლევა დამატებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლება ერთჯერადად შესაბამისი განცხადებისა და გარემოების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ხოლო დამატებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამოუცხადებლობის ან უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მიეცემა ცნობა გავლილი პროგრამის შესახებ.

### **მუხლი 15. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი**

- მოდულის ყველა შედეგის შეფასება პროფესიულ სტუდენტს ეცნობება 5 დღის ვადაში.
- პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 2 დღისა, წერილობითი საჩივარი წარადგინოს კოლეჯის კანცელარიაში, რომელიც შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელს იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს.
- შესაბამისი მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით საჩივარს განიხილავს 2 დღის ვადაში.
- იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტის ნაშრომი (მოდულის შედეგი, პროექტი ან სხვა ნაშრომი) ფასდება მხოლოდ ერთი შემფასებლის მიერ და პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება მიღებულ შეფასებას, მასთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან შეთანხმებით, შესაძლოა შემფასებლად გამოყოფილ იქნას კოლეჯის შესაბამისი დარგის/კომპეტენციის მქონე სხვა პროფესიული განათლების მასწავლებელი, სხვა შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება პროფესიული სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე.
- პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია შედეგის გაპროტესტების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს დაუსაბუთოს მიღებული შეფასების ობიექტურობა, უფლებამოსილია პროფესიული სტუდენტის შეფასება შეევალოს (პროფესიული სტუდენტის სასარგებლო) ან დატოვოს ძალაში, თუ პროფესიული სტუდენტის მიერ წარდგენილი საჩივარი უსაფუძვლოა ან დაუსაბუთებელია.
- პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებელი/კომისიის თავმჯდომარე კოლეჯის დირექტორის სახელზე წარადგენს სამსახურებრივ ბარათს შეფასების კორექტირების თაობაზე შესაბამის უწყისში.
- ზოგადი ხასიათის წერილობითი საჩივარი, რომელშიც არგუმენტირებულად და მკაფიოდ არ იქნება განსაზღვრული თუ რას აპროტესტებს პროფესიული სტუდენტი, არ განიხილება. გადაწყვეტილება პროტესტის განუხილველად დატოვების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
- პროტესტის განხილვის შედეგი პროფესიული სტუდენტისთვის ცნობილი გახდება წერილობითი საჩივრის წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

### **მუხლი 16. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების შეფასების შესახებ დოკუმენტაციის წარმოება**

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება მატერიალური/ელექტრონული სახით - მტკიცებულებებით, რომელთა სახეობები განისაზღვრება შესაბამისი მოდულური და დუალური პროგრამებით.
- მტკიცებულებათა შეგროვება და პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასება მიმდინარეობს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ან/და სწავლის დასრულებისას.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილ მტკიცებულებათა კოლეჯში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას შენახვას და მათ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია.
- ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად.
- კოლეჯის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისების შენახვას უზრუნველყოფს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 17. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შენახვისა და გამოყენების,**

### **სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი**

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო მიზნით გამოსაყენებელი მასალების შექმენასა და შენახვას აწარმოებს კოლეჯი.
2. პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო მასალების გამოყენება ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მიზნით. პროფესიული სტუდენტების მიერ სასწავლო მასალების გამოყენების პროცესს მეთვალყურეობას უწევს შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი.
3. სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვას კოლეჯში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას უზრუნველყოფს კოლეჯის ადმინისტრაცია.
4. იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელ მტკიცებულებას, შესაძლებელია, ამ წესის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ვადით კოლეჯში ინახებოდეს იმ ვიდეო ან/და ფოტო ან სხვა მასალის სახით, რომელშიც ასახულია ზემოთაღნიშნული მტკიცებულება.

### **მუხლი 18. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები**

1. ინტეგრირების მიზანია საბაზო ზოგადი განათლების მქონე პირებისთვის პროფესიის შესწავლის პარალელურად სრული ზოგადი განათლების მიწოდება და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მეოთხე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება, რაც სრულდება ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან გათანაბრებული დიპლომის გაცემით;
2. ინტეგრირება გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მოთხოვნების ასახვას პროგრამის იმ კომპონენტებში, რომლებიც ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციების ან/და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზე;
3. ინტეგრირებული ზოგადი მოდულები წარმოადგენს პროგრამის შემადგენელ ნაწილს და დაუშვებელია მათი პროგრამისგან დამოუკიდებლად განხორციელება;
4. პროგრამის ხანგრძლივობა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, შეადგენს არანაკლებ 3 წელს.
5. პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა.
6. პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
7. კოლეჯი ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი პორტფოლიოების მატერიალური სახით შენახვას უზრუნველყოფს კოლეჯში სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, ხოლო ელექტრონული სახით - სერვერზე, სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ, ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურებისთვის საჭირო ელექტრონული სისტემის შექმნამდე.